# ავანგარდული და ანდერგრაუნდ ფილმების ფესტივალი საქართველოში

შორენა შავკაციშვილი

გუშინ კლუბ „სარდაფში" გაიხსნა ავანგარდული და ანდერგრაუნდ ფილმების ფესტივალი. ფესტივალი პირველად ტარდება და, ძირითადად, ორ ქვეყანას (გერმანია-საქართველო) შორის შემოქმედებითი ინფორმაციის გადაცვლის სახეს ატარებს. ფესტივალს უძღვებოდა გერმანელი კინორეჟისორი გერტ ვაიდენფელდი, რომელმაც, რამდენიმე მეგობართან ერთად, 70-იან წლებში გერმანიაში ჩამოაყალიბა „ფერე ფილმპროდუქციონ" და მისი იდეა იყო, კერძო კინოთეატრებში ეჩვენებინათ ის ფილმები, რომლებიც საფესტივალო ჩვენებებზე ვერ გავიდა, ანუ პრიზების გარეშე დარჩა და ნაკლები პოპულარობით სარგებლობს.

შემდგომ მათ სხვადასხვა ქვეყანაში დაიწყეს მოგზაურობა და შემოქმედებითი ინფორმაციის გადაცვლა (აღსანიშნავია, რომ მათ კომერციული მხარე არ აინტერესებთ და მხოლოდ საინტერესო მასალების შეგროვებით არიან დაინტერესებულნი), სწორედ ამ იდეით გერტ ვაიდენფელდს ორი წლის წინათ საქართველოში ჩამოტანილი ჰქონდა პროგრამა, რომელიც კინოს სახლში აჩვენა. მაშინ დაინტერესდა გერმანელი კინორეჟისორი ქართველი აუდიტორიით და ახლა მის წინაშე ვრცელი პროგრამით წარდგენას აპირებს.

ფესტივალის გახსნაზე ავანგარდული და ანდერგრაუნდ კინოს მოკლე ისტორია იყო ნაჩვენები — ნიუ-



იორკის სკოლა (ამერიკელი ანდერგრაუნდის ფაზა, ფაქტობრივად, ნიუ-იორკშია), კერძოდ, ოთხი რეჟისორის: მაია დერენის, კენეტ ენგერის, რიჩარდ კერნისა და ნიკ ზედის ფილმები, რომლებიც 40-იანი წლებიდან 80-იანი წლების დასასრულამდე პერიოდს მოიცავს, ანუ ანდერგრაუნდ მოძრაობის დასაწყისს.

ფესტივალი 4 დღეს გაგრძელება. 30 მაისს კინოს სახლში ევროპული კინოს მიმოხილვა იქნება, ხოლო დახურვა 31 მაისს, ასევე, კლუბ „სარდაფში" გაიმართება.

ეს ფესტივალი ყოველწლიურად ჩატარდება, მომავალი წლისთვის დაგეგმილია გერმანელი სტუდენტების ჩამოსვლა.

# ზურაბ ნაცვლიშვილის „კატები, კატები, პლაკატები" სარდაფში

თამარ გოდოკია

**შაბათს კლუბ „სარდაფში" უჩვეულო პლაკატების გამოფენა გაიხსნა. სიტყვა „უჩვეულო" ავტორს იქნებ გადაჭარბებულადაც მოეჩვენოს, მაგრამ მაშინ, როდესაც ერთი შეხედვით მარტივსიუჟეტიანი პლაკატები მნახველს ფიქრსა და ნანახის გააზრებას, მოკლენათა „გადახარშვას" სთხოვს, ზურაბ ნაცვლიშვილის ნამუშევრები გეუცნაურება.**



ზურაბ ნაცვლიშვილი ერთი ხანობა კინოს მხატვარი იყო, მუშაობდა დაზგურ ფერწერაშიც, დღეს კი იგი პოლიგრაფ-დიზაინერია. გამოფენაზე გამოტანილი პლაკატები მისი შემოქმედების მცირე ნაწილია. ამბობს, რომ ამით ერთი კონკრეტული ეტაპი დაასრულა და იწყებს რაღაც ახალს. ამ ახალს დრო გვიჩვენებს, მერე ისევ ისე გამოცდის, როგორც უკვე ამ კარგად დავიწყებულ ძველს, მხატვარი რომ გვთავაზობს.

„კატები, კატები, პლაკატები"; „არტი, არტი, მოცარტი"; „არტი, არტი, სტანდარტი"; „ნაცია, ნაცია რეინკარნაცია"; „გმირული, გმირული, განგმირული"... ასეთი სათაურები აქვთ ზურაბ ნაცვლიშვილის ნამუშევრებს. ნაცნობი სახეები პოლიტიკოსებისა, მხატვრებისა, მუსიკოსებისა, მეწარმისა თითქოს უკვე ნანახის განცდას გიტოვებს, მაგრამ პლაკატზე ავტორის შესრულებული ერთი უმნიშვნელო დეტალიც კი, მუსიკალურად აწყობილი სიტყვა-რითმები — ყველაფერი ერთად, თუ დაფიქრდები, საინტერესო კონტრაპუნქტს ქმნის, რაც მშვენივრად იკითხება ყველა ენაზე. სხვათა შორის, ავტორს რამდენიმეენოვანი პლაკატები აქვს — რუსული, ინგლისური, გარმანული, რაც ადვილად აღსაქმელია ნებისმიერი მნახველისთვის. ზურაბ ნაცვლიშვილი მიიჩნევს, რომ მის სათქმელს უცხოელიც კარგად ხვდება.

— ენობრივი ბარიერი, პრაქტიკულად, არ არსებობს, —ამბობს ზურაბ ნაცვლიშვილი, — გამოფენაზე უცხოელებიც იყვნენ და ერთადერთი „გმირული, გმირული, განგმირული" ვერ გაიგეს. ამ პლაკატში გამოყენებული ფოტო ცნობილი ფილმიდანაა — „ბართლომეს ღამე". ეს ნამუშევარი არა, მაგრამ რამდენადმე რთულად მიაჩნია „ნაცია და რეინკარნაცია", ვინაიდან მის გასაგებად შედარებით მეტი ცოდნაა საჭირო: გუსტავ მალერი და არტურ მილერი ჩეხი ებრაელები არიან, ადოლფ ჰიტლერი და ჰაინრიხ ჰიმლერი — მთავარი ნაცისტები. მათი გვარები ერთნაირად ბოლოვდება. რაც შეეხება რეინკარნაციას, ის, ბუდისტური თეორიის თანახმად, ხელმეორედ მოსვლას ნიშნავს. ბუდას მიაჩნდა, რომ ყოველ ადამიანს აქვს თანაბარი შანსი, დაბრუნდეს ნებისმიერ ადამიანად. ამას რომ შორს ჩაყვეთ, შეიძლება იპოვოთ რაღაც საერთო, — ამბობს ავტორი.

ზურაბ ნაცვლიშვილის ნამუშევრები საზოგადოებამ ქართული ნიჭის კიდევ ერთ გამოვლინებად მიიღო. ცნობილი საზოგადო მოღვაწენი ზურას ნამუშევრებს უქებდნენ, სარდაფში შემოსული დამთვალიერებელი გაოცებას და აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ცნობილმა მომღერალმა **თემურ ჰკუასელმა** ზურას უფროს ძმას, ასევე ცნობილ ჟურნალისტს, პაატა ნაცვლიშვილს ხუმრობით უთხრა, — ბიჭო, მგონი, შენი ძმა შენზე ნიჭიერი ყოფილაო. თუ ერთი ძმა საუკეთესო




რითმების მკინძავია, მეორე ძმა პოეზიასთან „მწყრალად" არის. ლექსი ცხოვრებაში არ დამიწერიაო, მეუბნება. მას რითმები მხოლოდ თავისი პლაკატების დასასათაურებლად სჭირდება.

კატა-კატა-კატალოგს, რომელსაც „კატები, კატები, პლაკატები" ჰქვია, **გია ბუღაძის** რეცენზია ახლავს. ბატონმა გიამ არც ჩვენთვის დაიშურა ორიოდე სიტყვა: — ზურა საინტერესო ხედვის ადამიანია. ეს არ არის ფანტაზია, ეს არის ერთგვარი ირონია. მისი შემოქმედება აწყობილია მოულოდნელობებზე, კაზუსებზე, აქ ძალიან ბევრი პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, ეროტიკული ალუზიაა. ამ ყველაფრის მიღმა ჩანს მხატვრის დამოკიდებულება, იგი ამ სფეროში დიდი ხანია მუშაობს. ერთი რამ მინდა შევნიშნო, იგი არასდროს




არ კითხულობს მორალს. საერთოდ, ხელოვნებას არ უყვარს მორალის კითხვა, თუმცა კი, თანამედროვე ხელოვნებაში აქტიურად დადგა ეთიკისა და ესთეტიკის პრობლემა. ზურა ხელოვნებაში ეთიკის პრობლემას სვამს. თითქოს ირონიულად, ოდნავი იუმორით უყურებს საკითხებს, თუმცა, არასოდეს სცილდება ეთიკის საზღვრებს.

ზურაბ ნაცვლიშვილი მიიჩნევს, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის საიმისო პირობები, მისი და საერთოდ, ამგვარი ნამუშევრები ნორმალურად შეფასდეს. ალბათ, ქართულ ცნობიერებაშიც გაიღვიძებს გემოვნებიანი პლაკატის ნახვის და შეძენის სურვილი. გამოფენა კი, როგორც წესი, ყოველთვის მოეწყობა, მით უმეტეს, თუ ისეთი კეთილი და გულისხმიერი ადამიანები იარსებებენ, როგორიც ხელოვნებათმცოდნე ნინო გუჯაბიძეა — კლუბ „სარდაფის" ექსპერტი, ვისაც ზურაბ ნაცვლიშვილი განსაკუთრებით ემადლიერება, ყველა იმასთან ერთად, ვინც მას ამ გამოფენის მოწყობასა და კატალოგის გამოცემაში დაეხმარა.

კატალოგზე კიდევ ერთხელ ცალკე უნდა ითქვას: იშვიათია კატალოგი, რომელიც ასე სრულად და ადეკვატურად ასახავდეს გამოფენის სულსა და შინაარსს და ამავე დროს თვით წარმოადგენდეს ხელოვნების ნიმუშს. ჩანს, „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობას" განსაკუთრებით უზრუნია კატა-კატა-კატალოგის ფორმასა და პოლიგრაფიულ ხარისხზე.

გამოფენა კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს სარდაფში; კატალოგის შეძენაც იქვე შეიძლება.

გოგა ჩანადირის ფოტოები

# გამოფენა ახალციხის ისტორიულ მუზეუმში



რაბათის ეკლესია, მოქალის წარწერა ჯვრის აღმართვის შესახებ (X ს.)

მარი მიმინოშვილი

**გუშინ ახალციხეში, სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა ამ რეგიონში შემონახული უნიკალური ეპიგრაფიკული ძეგლების გამოფენა, რომელიც დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება-საქართველო".**

გამოფენას თბილისიდან მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ, მათ შორის იყვნენ: სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი, ისტორიის ინსტიტუტიდან — ირაკლი სურგულაძე, ვალერი სილოგავა — სახელმწიფო მუზეუმიდან, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიდან, არქეოლოგიური ცენტრიდან ირინა ლამბაშიძე, ხელნაწერთა ინსტიტუტიდან თამილა მგალობლიშვილი.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი მასალებიდან აღსანიშნავია ახალციხის რაბათის ძველი ეკლესიიდან, აგრეთვე ზემო ღალვის ეკლესიის ტრაპეზის ქვა და მისი წარწერა. წარწერაში დასახელებული ქონქოზა ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელია და, როგორც ჩანს, X საუკუნის ერთ-ერთი ქართველი ჰიმნოგრაფის — ივანე ქონქოზის ძის მამაა.

გვიანდელი ხანის ძეგლებიდან საგანგებოდ გამოიყოფა ციხის საამშენებლო წარწერა — ლექსი (1103 წელი).

XIII-XIV საუკუნეების მიჯნის ეკლესიის მოდელზე საფარის მონასტრიდან წარმოდგენილია ხუროთმოძღვრის გამოსახულება, თანმხლები წარწერით. აქვეა ახალქალაქის რაიონში აღმოჩენილი (ზრესკში) სტელა, რომელიც XIII საუკუნის საქართველოს შესანიშნავი მხედართმთავრების — შალვა და ივანე ახალციხელების მემორიალური ძეგლია. მთელი წარმოდგენილი ექსპოზიცია მოიცავს X-XIX საუკუნეებს.

გამოფენა მნიშვნელოვანია, რადგან ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო, როგორც ქართული ეპიგრაფიკული მასალა, ასევე ოსმალური და სომხური წარწერები.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმის ტერიტორიაზე მდებარე ადრეული საუკუნეების მეჩეთი, თავად მუზეუმის დირექტორმა ციური ლაფაჩმა განაახლა და წარმოდგენილი ექსპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ მუზეუმში იყო წარმოდგენილი.